

უსხოური ინვესტიციები და საინვესტიციო ფონდები ბლოკალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში

მარიამ ხაჩიძე
სტუ-ს მაგისტრი

ქვეყნის სამეურნეო ურთიერთობების გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში განსაკუთრებულ როლს უცხოური ინვესტიციები და საერთაშორისო ვაჭრობა ასრულებს. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ინვესტიციებისა და ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლები ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. კაპიტალისა და ტექნოლოგიური ბაზრების განვითარების შედეგად მრავალფეროვანი გახდა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოსავლის წყაროები, როგორც ცალკეული ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა მიხედვით, ასევე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვითაც. ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ზრდის კვალდაკვალ გაფართოვდა საწარმოთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალი, ამან კი თავისი გავლენა იქონია მრავალფეროვან საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე. მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით კი შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტორები საბოლოო ჯამში ზემოქმედებენ ინვესტიციების ამა თუ იმ ქვეყანაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. სწორედ ეს პროცესები განაპირობებს შემდგომში ქვეყნებს შორის ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებასა და შემდგომი დარეგულირების პროცესებს.

გლობალიზაციის მზარდი მასშტაბების გამო საერთაშორისო ბიზნესისა და საერთაშორისო ინვესტირების პროცესებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ისეთი აუცილებელი ინსტრუმენტების დანერგვამ, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდებოდა მთავრობების მიერ ოპტიმალური საგადასახადო შემოსავლების მობილიზაცია.

ზოგადად, განვითარებადი ქვეყნებისათვის პრობლემას წარმოადგენს მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე ადგილობრივი, სამამულო კომპანიების წვდომის არ არსებობა. ხშირ შემთხვევაში

ეს პროცესები ხელოვნურადაც არის შეზღუდული, მხოლოდ ადგილობრივი ბაზრები ნაკლებ საინტერესო და არა მიმზიდველია მსხვილი ბიზნესისათვის. ამიტომ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს და აუცილებლობას რეგიონული ბაზრების განვითარება.

აღნიშნულის საპირისპიროდ მეტად გახსნილია განვითარებული ქვეყნების ბაზრები უცხოური ინვესტიციებისათვის, მათ აქვთ მაქსიმალური წვდომა ადგილობრივ ბაზრებზე, არათანაბარ ძალთა თანაფარდობა კი არათანაბარ პირობებში ამყოფებს ადგილობრივ ბიზნესს. მნიშვნელოვანია ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. მონაწილეობის შემთხვევაში კი ამ ტიპის კომპანიებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს თანადგომა, რათა ტენდერების მოგების შემთხვევაში კომპანიების მიერ შესრულებული იქნას საკმაოდ რთული პირობები, რომელთაც ხშირად უყენებენ დონორები ქვეყნები თუ კომპანიები ტენდერში მონაწილე მხარეებს.

ინვესტორი – ფიზიკური ან იურიდიული პირი იძენს ფასიან ქაღალდებს ანუ ის შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ინსტიტუციონალური. ინდივიდუალურ ინვესტორად შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი კერძო პირი, ხოლო ინსტიტუციონალურად – იურიდიული პირი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საკუთარი ან მის მფლობელობაში მყოფი სხვა კომპანიების სახსრების ინვეტირება. ესენია: საინვესტიციო ფონდები, საპენსიო ფონდები, სადაზღვეო კომპანიები, კომერციული ბანკები და ა.შ.

როგორც ცნობილია, საინვესტიციო ფონდები საკუთარი აქციების გამოშვების საშუალებით

ახდენენ ინვესტორთა სხვადასხვა ჯგუფების ფულადი სახსრების აკუმულირებას და სხვა ემიგრენტების ფასიან ქაღალდებში დაბანდებას, რითაც ამცირებენ აქციონერების რისკს.

საინვესტიციო ფონდების შექმნა არის სწორი ფორმულა იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინვესტირება ბიზნესში. ნებისმიერი უცხოელი ინვესტორი თხოულობს ადგილობრივი ბიზნესის თანამონაწილეობას ბიზნესში, თანადაფინანსებას. სწორედ ეს ფუნქცია უნდა აიღოს თავის თავზე აღნიშნულმა ფონდებმა, შესაბამისად უკვე გაჩნდება მაღალი ხარისხის პროექტები, რომელთა მიხედვით ორიენტაცია იქნება განხორციელებული პროექტების მომგებიანობაზე, თავის მხრივ კი ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ინვესტორისა და მიმღები ქვეყნისათვის წინსვლას, წარმატებას.

საინვესტიციო ფონდების ძირითად არსს წარმოადგენს: ინვესტიციების დივერსიფიცირება; საინვესტიციო პორთფელის მართვა, რომელიც ჩვეულებრივ უამრავი ემიგრენტის ფასიან ქაღალდს მოიცავს. სიტუაციის შესაბამისად ისინი განუწყვეტლივ ახდენენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა – გაყიდვას, რომლის დროსაც პარალელურად ახორციელებენ კაპიტალის გადანაწილებას ყველაზე მეტად პერსპექტიულ საწარმოებსა და დარგებში.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადამწყვეტ როლს ასრულებს პროფესიონალური საინვესტიციო მენეჯმენტი, რომელიც რეალურად საინვესტიციო ფონდების საქმიანობის ძირითად შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ამასთანავე საინვესტიციო ფონდები უზრუნველყოფენ დივერსიფიკაციისა და ინვესტიციების მართვის ისეთ დონეს, რომელიც არ შეუძლია ინდივიდუალურ ინვესტორს. აღნიშნული ფონდები აღჭურვილნი არიან სწორედ ყველა იმ პირობით, მათ შორის სპეციალური განათლების მქონე კადრებით, რაც ასევე უპირობოდ აუცილებელია წარმატებული ინვესტირებისათვის. ამასთანავე ისინი სისტემატურად ახორციელებენ საინვესტიციო ბაზრების უწყვეტ ანალიზს.

როგორც ცნობილია, არსებობს ღია და დახურული ტიპის საინვესტიციო ფონდები. დახურული ტიპის საინვესტიციო ფონდების მიერ აქციების ემისია ხორციელდება განსაზღვრული რაოდენობით. ხდება მათი თავისუფალი მიმოქცევა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მაგრამ კრძალავს თვით საინვესტიციო ფონდების მიერ ინვესტორებისაგან მათ შესყიდვას საბაზრო ღირებულებით.

ღია ანუ ერთობლივი ფონდები აქციებს უშვებენ იმის მიხედვით, თუ როგორია მოთხოვნა.

ამიტომ შესაძლებელია მათი შესყიდვა თვით საინვესტიციო ფონდების მიერ. მათი აქციები არის „გამოსყიდვითი“ ან „დაბრუნებითი“.

საინვესტიციო ფონდები ყალიბდება სააქ-

ციო საზოგადოების ფორმით ან შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაციებად, ხოლო ორგანიზაციული სრუქტურა განისაზღვრება სამ პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც მარეებს წარმოადგენენ ფონდის ხელმძღვანელი, სადეპოზიტო ბანკი- როგორც ნდობით აღჭურვილი პირი და საინვესტიციო პორთფელის მფლობელი, ისევე როგორც თითოეულ მათგანს მინიჭებული აქვს შესაბამისი ფუნქციები: აქციონერს საინვესტიციო ფონდში შეაქვს თავისი აქტივების პორტფელი, პირადი დანაზოგების სახით და იძენს წილობრივი მონაწილეობის სერტიფიკატებს ან აქციებს; მენეჯერს აქვს უფლებამოსილება ფიზიკური პირია ის თუ იურიდიული – მართოს ყველა ინდივიდუალური აქციონერის საინვესტიციო პორტფელის ერთობლივი პაკეტი. ხოლო ნდობით აღჭურვილი პირი ან სადეპოზიტო ბანკი უზრუნველყოფს საინვესტიციო ფონდის აქტივების საიმედო შენახვას და მომსახურებას უწევს საინვესტიციო ფონდის ანგარიშებს.

ეროვნული მეურნეობის სფეროების ევექტური განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ქვეყნის ფულად – საკრედიტო ურთიერთობების რეგულირება, ბიზნესის აქტიური ხელშეწყობა – ყველა ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ელემენტი არის განმაპირობებელი მოსახლეობის დასაქმებისა და შესაბამისა, სიღარიბის აღმოფხვრისა. ეს ყველაფერი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ატრიბუტია, რომლის შექმნასა და წარმატებულად ფუნქციონირებას დიდ წილად განაპირობებს საბანკო სისტემა, რადგან მისი საქმიანობის განვითარება – საბაზრო მექანიზმის რეალური შექმნის აუცილებელი პირობაა და უშუალოდ ზემოქმედებს ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა დარგზე.

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ძალზე მძაფრად იგრძნობა ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკის დაკრედიტებასთან ერთად წინა პლანზე წამოიწია საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხმა. მათ შორის კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ისევ და ისევ ინვესტიციების მოზიდვას და მათი სწორად მართვის პრობლემას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ ინვესტირების დაფინანსების წყაროების მოძიება, მათი მოზიდვა და მართებულად გამოყენება ამ სეგმენტში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის უმთავრეს პრიორიტეტად გვევლინება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს საკუთრების ყველა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ინვესტიციური საქმიანობის წარმატებული განხორციელებისათვის

პირობების შექმნა, ინვესტორთა ინტერესების დაცვა. ინვესტიციური საქმიანობა საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სრულყოფილი ნორმატიული – საკანონმდებლო ბაზის არსებობაზე.

საბაზრო ეკონომიკის გარდაქმნის განხორციელების დასაწყისიდან საქართველოში მიღებული იქნა საკანონმდებლო აქტები ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირების მიზნით. კანონი ინვესტიციური საქმიანობის შესახებ არეგულირებდა საქართველოს ტერიტორიაზე სამეურნეო კომპლექსის ეფექტურ ფუნქციონირებას, აგრეთვე მოსახლეობის სოციალურ – კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების თანამიმდევრული დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მიმართულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფისა და შემდგომი განვითარების ამოცანები განამტკიცდა 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებული კანონით „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და განმტკიცების შესახებ“, რომელიც რეალურად აღნიშნულ სფეროში ძირითად ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს.

უცხოური ინვესტიციების შემოღინება უნდა განხორციელდეს მიმღები ქვეყნის – საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოში მოქმედი კანონებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად, აგრეთვე დამტკიცებული სტანდარტებით, ნორმებითა და წესებით, მათ უნდა შეასრულონ ის მოთხოვნები, რომლებსაც უყენებენ სახელმწიფო ორგანოები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს, გამოიყენონ საშუალებები, რომლებიც მიმართულია კაპიტალურ დაბანდებაზე მიზნობრივი დანიშნულებით.

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შესაბამის უწყებებთან ერთად. ამ სამინისტროსთანაა სწორედ საქართველოს საინვესტიციო ცენტრი, რომლის ფუნქცია მოვალეობებშიც შედის ინვესტიციათა მომსახურება, მათ მიერ წამოწეულ სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეწყობა; საქართველოს, როგორც ინვესტირებისათვის ხელსაყრელი ქვეყნის იმიჯის შექმნა და წარმოჩენა; საინვესტიციო გარემოს, საკანონმდებლო ბაზის, საგადასახადო სისტემასა და ინვესტირებასთან დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება; საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ შესაძლო პარტნიორობის იდენტიფიცირება და ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობისათვის მათთვის რეკომენდაციების მიცემა; საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მომზადება და მათი წარდგენა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლები-სადმი; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; უცხო ქვეყნებისა და კომპანიების ინტეგრაცია, მათთან ინდივიდუალური კონტაქტების დამყარება.

საინვესტიციო ცენტრის ეფექტური მუშაობა მნიშვნელოვნად განაპირობებს წარმატებული საინვესტიციო საქმიანობის სტაბილურობას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველოში ყველანაირი ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული მოქმედი კანონმდებლობით.

საინვესტიციო საქმიანობის ფართოდ დანერგვა მეწარმეობის განვითარებასთან ერთად ეროვნული ეკონომიკის მყარ რელსებზე გადაყვანისა და საქართველოს საფინანსო საქმიანობის გამოცოცხლების რეალური საფუძველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიჭინავა, ინვესტიციები, თბ., 2010.
2. ინვესტიციების საფუძვლები, თარგმანი ლ. ქოქიაურისა, თბ., 2001.
3. სანაძე გ. ფინანსური ინვესტიციების საფუძვლები, თბ., 2005.
4. ყუფარაძე გ. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის საკითხები. თბ., 2011.
5. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და განმტკიცების შესახებ.

FOREIGN INVESTMENTS AND INVESTMENT FUNDS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION AND INTERNATIONALIZATION

MARIAM KHACHIDZE - *magister of GTU*

This article discusses the role of foreign investment in the country's economic development process. Here is also discusses the factors that support the existence, development and improvement of investment activity. The article describe us the essence of investment fund, which is one of the most important segments for the development of investment activity. Here is clearly presented investment fund's functioning aspects in the modern global world and their impact on developing countries economy.